ოქმი:**ო05. 3724176001**

თარიღი:**24/06/2024**

ოქმი N 4
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

2024 წელი, 21 ივნისი
ქ.ოზურგეთი

14:00 საათი

თავმჯდომარეობდა: პაატა კიღურაძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ქ. ვასაძე, ე. გორდელაძე, ბ. კილაძე, ნ. მახარაძე, ნ. ნადირაშვილი,
ნ. ქარჩავა, დ. მჟავანაძე, რ. დუმბაძე.
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი-პ.ჭყონის

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის N20 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: პ. კიღურაძე

თანამომხსენებელი: პ.ჭყონია

2.“ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და განაკვეთის დადგენის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 6 ივნისის N37 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: პ. კიღურაძე

3.“ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამების განთავსების ნებართვის შემოღებისა და გარე რეკლამების განთავსების ნებართვის მიღების წესისის დამთკიცების შესახებ“

მომხსენებელი: პ. კიღურაძე

4. “ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამების განთავსების სანებართვო მოწმობის,როგორც მკაცრი აღრიცხვის ფორმისა და ამ ფორმის გამოყენების, აღრიცხვა- ანგარიშგებისწესის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: პ. კიღურაძე

5. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“

მომხსენებელი: პ. კიღურაძე

სხდომის თავმჯდომარემ, პ. კიღურაძემ მოკლედ ისაუბრა დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, პ.ჭყონიამ კომისიის წევრებს დეტალურად გააცნო 2024 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები. პ.ჭყონიამ აღნიშნა ,რომ ცვლილება შეტანილ იქნა მუხლი N5 „ გადაუდებელი და არაპროგრამული რეფერალური სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება“, კერძოდ: მე-3 პუნქტში, რომელიც ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: გამონაკლის მთხვევაში-პაციენტების საზღვარგარეთ მკურნალობის დაფინანსება,იმ შემთხვევაში, თუ მისი სამედიცინო დხმარება ვერ ხერხდება

გადაწყვიტეს:

პ.კიღურაძემ ასევე კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და გადაწყვიტეს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები განხილულ იქნს საკრებულოს მორიგ სხდომაზე.

პაატა კიღურაძე

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი